

# მეტეოროლოგიური პარამეტრების დინამიკა შავი ზღვის სანაპიროზე კლიმატის ცვლილების ფონზე

*გიორგი ხომასურიძე*

ელ.ფოსტა: [Giorgi.Khomasuridze676@ens.tsu.edu.ge](mailto:Giorgi.Khomasuridze676@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც აღინიშნა მსოფლიოს საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების ტენდენცია და ხშირი კლიმატური კატასტროფები. ბოლო პერიოდში მეცნიერულად დადასტურდა, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით გამოიხატა საშუალო ტემპერატურის, მასთან დაკავშირებულ ნალექების ინტენსივობისა და ექსტრემალური მოვლენების სიხშირის მატებით.

მსოფლიოში ყველგან ზღვის სანაპირო ზოლი ამჟღავნებს განსაკუთრებულ მგრძობელობას კლიმატის ცვლილების მიმართ. ამ მხრივ არც საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლია გამონაკლისი, სადაც აღინიშნება ზღვის დონის აწევა (2-3 მმ/წელი), შტორმების სეზონურობისა და ინტენსიობის ცვლილება, პლაჟების ინტენსიური წარეცხვა და ზღვის ზედაპირული წყლის ტემპერატურული რეჟიმის შეცვლა.

კვლევისათვის გამოყენებულია მეტეოროლოგიური მონაცემთა სტატისტიკური, კლიმატური და გრაფიკული ანალიზი შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის (ბათუმი, ფოთი). მეტეოსადგურების დაკვირვების მონაცემების მიხედვით შეფასებული და გაანალიზებულია ჰაერის ტემპერატურის, შეფარდებითი სინოტივის, ნალექების, ქარის რეჟიმის, საშუალო წლიური, მრავალწლიური სეზონური მნიშვნელობების ცვლილება ბოლო და წინა კლიმატურ პერიოდებს შორის. დადგენილია ტემპერატურის ექსტრემალური (მაქსიმალური და მინიმალური) სიდიდეების ცვლილება. წრფივი (80 წლიანი პერიოდის მიხედვით) აპროექსიმაციის ტრენდით ბათუმის საშუალო ტემპერატურა გაიზარდა  $0,7^{\circ}\text{C}/80\%$ , ხოლო ფოთის  $0,3^{\circ}\text{C}/80\%$ -ით. ბათუმში მაქსიმალური ტემპერატურა გაიზარდა  $3,29^{\circ}\text{C}/80\%$ , ხოლო მინიმალური  $1,65^{\circ}\text{C}/80\%$ -ით. ფოთში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა  $1,42^{\circ}\text{C}/80\%$ , ხოლო მინიმალური  $1,21^{\circ}\text{C}/80\%$ -ით. ქარის მიმართულების საშუალო სიდიდე ბათუმსა და ფოთში არ შეცვლილა.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ქვეყანაში კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შესაფასებლად, შესაბამისი ღონისძიებების შესამუშავებლად, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის, ტურიზმის, ჯანდაცვისა და ბუნებრივი ეკოსისტემების მაქსიმალურ დაცვას კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენისაგან.